ხელშეკრულება (მემორანდუმი)
პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი 2018 წლის 4 მაისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი მისი რექტორის **ერმილე მესხიას** სახით და მეორეს მხრივ შპს **„დასაქმების სააგენტო ეიჩარი"** მისი კომერციული დირექტორის **ეთერ ლეშჩინსკაიას** სახით, ვაცნობიერებთ რა ქვეყნის განვითარებისათვის განათლების მნიშვნელობას, მის ფუნქციასა და ადგილს ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში, განათლების მიზნებს, რომელიც მოწოდებულია დააკმაყოფილოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნები, ვითვალისწინებთ რა ჩვენი თანამშრომლობისა და პარტნიორობის ურთიერთსასარგებლო ხასიათს, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი თანამშრომლობის ძირითად მიმართულებებს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ დოკუმენტით განსაზღვრული მიმართულებებით.

1. მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევაში და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, რისთვისაც:
   1.1. მოაწყობენ ერთობლივ ღონისძიებებს, სემინარებს, ლექციებს, კონფერენციებს, პროფესიონალთა შეხვედრებს და დისკუსიებს;
   1.2. მოამზადებენ და გამოაქვეყნებენ სასწავლო სახელმძღვანელოებს, სტატიებს და სხვა სახის პუბლიკაციებს; (ურთიერთთანამშრომლობის პირობებში შექმნილი ინტელექტუალური შრომის პროდუქტი წარმოადგენს ორივე მხარის საკუთრებას თანაბრად);
   1.3. იქონიებენ მუდმივ კონტაქტს ამ ხელშეკრულების პირობათა შესრულების უზრუნველსაყოფად;

2. **სასწავლებელი** ----------
   2.1. უსასყიდლოდ უზრუნველყოფს პარტნიორს საკონფერენციო დარბაზით ან აუდიტორიებით, აგრეთვე მის ხელთ არსებული ტექნიკითა და ინვენტარით პარტნიორის მიერ დაგეგმილი და ჩატარებული საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებათა განსახორციელებლად;
   2.2. გამოჰყოფს სივრცეს საკუთარ ვებ-გვერდზე რუბრიკაში „ჩვენი პარტნიორები", სადაც პარტნიორს შეეძლება განათავსოს საკუთარი ლოგო და ასევე ინფორმაცია საქმიანობის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია და ბმული საკუთარ ვებ-გვერდზე;
   2.3. დაწესებულების ფოიეში განათავსებს პარტნიორის ლოგოტიპს;
   2.4. ითანამშრომლებს პარტნიორთან სხვა მიმართულებებით წინასწარ შეთანხმებული პირობებით.

3. **შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარი"**:
   3.1. როგორც პოტენციური ორგანიზატორი მოახდენს სრული ინფორმაციის წინასწარ მიწოდებას პოტენციური ღონისძიების მონაწილეებისათვის
   3.2. უზრუნველყოფს დასაქმების ფორუმის როგორც ინფორმაციის სრული მიწოდების ასევე ღონისძიების პროცესში მონიტორინგს
   3.3. ითანამშრომლებს პარტნიორთან სხვა მიმართულებებით წინასწარ შეთანხმებული პირობებით.

4. ეს ხელშეკრულება დადებულია მხარეების მიერ ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან;
5. ეს ხელშეკრულება არ წარმოშობს მხარეთა შორის რაიმე სახის ფინანსურ ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ, თუ თანამშრომლობის პროცესში ასეთი სახის ურთიერთვალდებულებები წარმოიშვება, მასზე უნდა გაფორმდეს ცალკე ხელშეკრულება;
6. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით
7. ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი სახის დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებით, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში - სასამართლოს გზით;
8. ეს ხელშეკრულება ძალაშია ერთი წლის ვადით

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
რექტორი:

ერმილე მესხია----------

დასაქმების სააგენტო ეიჩარი
კომერციული დირექტორი:

ეთერ ლეშჩინსკაია----------